ინფორმაცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
შესაბამისად საჯარო ინფორმაციის
გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა.შ.

2025 წლის განმავლობაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მათ შორის ხობის მაგისტრატ სასამართლოში) ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 4 განცხადება შემოვიდა:

შემოსული განცხადებებიდან 4 განცხადებაზე - მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის - კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის თამარა თუნგიას მიერ;

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა ფოთის საქალაქო სასამართლოში არ შემოსულა;

საჯარო მოსამსახურის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

თამარა თუნგია

Tamara Tungia 62006007475

Digitally signed by Tamara Tungia
Date: 2025.12.12 16:02:36

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი